ანგარიში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ
საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის გაწეული მუშაობის შესახებ
2017 წლის 08 დეკემბრის მდგომარეობით

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ანგარიშს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის გაწეული მუშაობის შესახებ 2017 წლის 08 დეკემბრის მდგომარეობით.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე ხელმძღვანელობს რა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვ-ნებით, გარკვეულ მუშაობას ატარებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. დადგენილია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის საქმისწარმოების განყ-ოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - შორენა თედორაძე. დამტკიცებულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სამსახურებრივი ინსტრუქცია, საინფორმაციო დაფაზე გან-თავსებულია პასუხისმგებელი პირის ვინაობა და საკონტაქტო ტელეფონი, სამ-სახურებრივი ინსტრუქცია და საქართველოს კანონი „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ".

2017 წლის 08 დეკემბრის მდგომარეობით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია 941 მომართვა საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით. ამათგან, 831-ზე (10 დამუშავების პროცესშია) გაცემულია საჯარო ინფორმაციები ზოგადი ადმინისტრა-ციული კოდექსის მოთხოვნების დაცვით. გაცემული საჯარო ინფორმაციის ქსეროასლე-ბის რაოდენობა შეადგენს A4 ფორმატის 57 456 გვერდს, გადახდილია საჯარო ინფორმა-ციის ასლის გადაღებისათვის მოსაკრებელი თანხა 2872,37 ლარის ოდენობით. ადგილი არ ჰქონია საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უარის თქმას, შესაბამისად, გასაჩივრების ფაქტებიც არ დაფიქსირებულა.